ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3314353

ნომერი: AR1512554

თარიღი : 09.06.2017

გაცემის თარიღი : 16.06.2017

გაცნობის თარიღი : 05.07.2017

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა კოტე აფხაზი N27/ ქუჩა ანტონ კათალიკოსი N15;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნიკოლოზ ბედელაძე პ/ნ 01017043594
- თბილისი შ.რუსთაველის გამზ. N 1

ნომენკლატურა :

- მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები (ექსტერიერისა და ინტერიერის სარესტავრაციო, სარემონტო და გაწმენდის სამუშაოები)
- II კლასი
- ძეგლზე ჩასატარებელი სამუშაოები
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ნიკოლოზ ბედელაძე
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 010170043594

.კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის არქიტექტურული პროექტი:

- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: კონსტანტინე ღვინჯილია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის,"კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2017 წლის 9 ივნისის AR1512554 განცხადება, რომელთან დაკავშირებითაც გაცნობებთ, რომ საპროექტო დოკუმენტაციით გათვალისწინებული სამუშაოების ნაწილი არ განეკუთვნება მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოებს, კერძოდ წვენის აპარატებისა და დახლ მაცივრის განთავსების საკითხი. დამატებით გაცნობებთ, რომ „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული დროებითი შენობა-ნაგებობების ან/და დანადგარების განთავსების ადგილების განსაზღვრის შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 5 დეკემბრის #16-33 დადგენილების შესაბამისად, ქალაქ თბილისის ცენტრალურ მაგისტრალებზე, გამზირებზე, ქუჩებზე, თბილისის ისტორიული ნაწილის სახელმწიფო დაცვის და რეგულირების ზონის საზღვრებში, მეტროსადგურების მიმდებარე ტერიტორიებზე აიკრძალა გარე ვაჭრობის განხორციელება. თქვენს მიერ, რუკაზე, მონიშნული ტერიტორია, სადაც გსურთ წვენის აპარატებისა და დახლ მაცივრის განთავსება, ხვდება ზემოაღნიშნულ აკრძალვის ზონაში. აქედან გამომდინარე სამსახური თქვენს მოთხოვნას, ქ. თბილისში, კოტე აფხაზის ქ. N27/ ანტონ კათალიკოსის ქ. N15-ის მიმდებარედ წვენის აპარატებისა და დახლ მაცივრის განთავსებასთან დაკავშირებით, ვერ დააკმაყოფილებს, რაც შეეხება სარეკლამო აბრისა და საჩრდილობლის მოწყობის საკითხს სამსახური დაუბრუნდება საკითხის განხილვას ახალ განაცხადზე შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდგომ.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.